7.3.4 კრების ოქმს შეადგენს და დაამოწმებს ნოტარიუსი. ოქმი ხელმისაწვდომი იქნება ყველა აქციონერისთვის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის, გენერალური დირექტორისთვის და მათი წარმომადგენლებისთვის.

7.4 წარმომადგენლობა აქციონერთა საერთო კრებაზე:

- 7.4.1 აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო თარიღისათვის აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებული ყველა აქციონერი უფლებამოსილია დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.
- 7.4.2 აქციონერი უფლებამოსილია გადასცეს თავისი უფლებები სხვა აქციონერს, ან სხვა მესამე პირებს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ აქციონერის რწმუნებული პირი ვერ წარმომადგენს ამგვარ რწმუნებულებას, მას ჩამორთმეულ ექნება კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლება.
- 7.4.3 წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად.
- 7.4.4 წარმომადგენელს აქვს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლისა და შეკითხვების დასმის იგივე უფლებები, რომლებიც მის მიერ წარმომადგენილ აქციონერს ექნებოდა.
- 7.4.5 წარმომადგენელი ვალდებულია გაამჟღავნოს აქციონერების მიერ იმ რისკის შესაფასებლად საჭირო ფაქტები, რომ წარმომადგენელმა შეიძლება განახორციელოს არა აქციონერის, არამედ სხვა პირის ინტერესები.
- 7.4.6 წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმომადგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად.
- 7.4.7 თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს, სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.

მუხლი 8 სამეთვალყურეო საბჭო

- 8.1 სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან და თავისუფლდებიან აქციონერთა საერთო კრების მიერ.
- 8.2 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა სამწლიანი ვადით, იმის გათვალისწინებით, თუ წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება ახალი წევრის არჩევამდე, მისი უფლებამოსილება უნდა გაგრძელდეს შემდგომ საერთო კრებამდე.
- 8.3 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრს შეუძლია უარი თქვას წევრობაზე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის ოთხი კვირით ადრე წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე. წევრის გათავისუფლებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, არჩეულ უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.
- 8.4 სამეთვალყურეო საბჭო მისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას, თავმჯდომარის მოადგილე) იწვევს სხდომებს და ადგენს დღის წესრიგს.
- 8.5 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა წარმომადგენილი იყვნენ სხვა წევრების ან მესამე პირების მიერ. ერთი წევრი შესაძლოა წარმომადგენდეს მხოლოდ ერთ წევრს.
- 8.6 სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. ამ

პასულ გომისალი

მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

- 8.7 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმა. სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სხდომაზე დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს განხილვაში დღის წესრიგის იმ საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც ასეთ წევრს გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი). იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ინტერესთა შეუთავსებლობა გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, სამეთვალყურეო საბჭო ამგვარი საკითხის განსახილველად აირჩევს სხდომის ახალ თავმჯდომარეს.
- 8.8 სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არაა უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად, თავმჯდომარეს (თავმჯდომარის არყოფნისას თავმჯდომარის მოადგილეს) შეუძლია, სამი დღის ვადაში, მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებისუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა არანკლებ 25 (ოცდახუთი) %-სა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებისუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე იწვევს საერთო კრებას.
- 8.9 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა თანხმობით დასაშვებია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით.
- 8.10 სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. ოქმი ხელმოწერილი უნდა იქნას თავმჯდომარის (ან მისი არყოფნის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი სხვა წევრის) მიერ. ოქმში უნდა დაფიქსირდეს სხდომის ადგილი და დრო, მონაწილეთა სია, დღის წესრიგი, სხდომაზე ჩატარებული განხილვის ძირითადი შინაარსი და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები.
- 8.11 სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია მოიცავს შემდეგს:
- 8.11.1 გენერალური დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება და მასთან შრომითი კონტრაქტის დადება და შეწყვეტა;
 - 8.11.2 გენერალური დირექტორის საქმიანობის კონტროლი;
 - 8.11.3 “საზოგადოებასთან” დაკავშირებული პოლიტიკის და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცება და შესწორება;
 - 8.11.4 “საზოგადოების” ფინანსური დოკუმენტაციის და მისი ქონებრივი ობიექტების შემოწმება, მათ შორის, “საზოგადოების” სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის შემოწმება და კონტროლი;
 - 8.11.5 აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებების მოწვევა, თუ აღნიშნულს მოითხოვს “საზოგადოების” ინტერესები;
 - 8.11.6 წლიური ანგარიშების და მოგების განაწილების წინადადების შემოწმება და ამის თაობაზე საერთო კრებისთვის მოხსენება;
 - 8.11.7 “საზოგადოების” წარმოდგენა გენერალური დირექტორის წინააღმდეგ აღმრულ სასამართლო პროცესებზე. სამეთვალყურეო საბჭოს, თუ საკითხი ეხება მისი წევრის

მოხელე გოგოული

პასუხისმგებლობას, შეუძლია აღძრას სარჩელი გენერალური დირექტორის წინააღმდეგ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე ან მის საწინააღმდეგოდ;

8.11.9 გადაწყვეტილებების მიღება კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.12 გენერალური დირექტორის ფუნქციები არ უნდა იქნას დელეგირებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე.

8.13 მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- 8.13.1 სხვა კომპანიებში წილებისა და აქციების შეძენა და გადაცემა, თუკი ამგვარი წილის / აქციების მოცულობა აღემატება ამგვარი კომპანიის მთლიანი კაპიტალის 50 (ორმოცდაათი) % ან გარიგების ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უკანასკნელად დამტკიცებულ “საზოგადოების” მთლიანი აქტივების ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს) - ამასთან, ამგვარი თანხმობა მოითხოვს “საზოგადოების” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმასაც;
- 8.13.2 უძრავი ქონების და ქონებრივი უფლებების შეძენა, გადაცემა და დატვირთვა, თუკი ამგვარი გარიგება სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს ან მისი ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უკანასკნელად დამტკიცებულ “საზოგადოების” მთლიანი აქტივების ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს);
- 8.13.3 ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია;
- 8.13.4 ინვესტიციები, რომლის ღირებულებაც, ცალკე ან ჯამში, აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უკანასკნელად დამტკიცებულ “საზოგადოების” მთლიანი აქტივების ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს) თუკი ინვესტირება ხდება ახალ ბიზნეს საქმიანობაში, ან 2%-ს (ორ პროცენტს) თუკი ინვესტირება ხდება იმ ბიზნესში, სადაც “საზოგადოებას” უკვე განხორციელებული აქციებული ინვესტიცია;
- 8.13.5 იმ ინვესტიციების დაბრუნება, რომლის ღირებულებაც, ცალკე ან ჯამში, აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უკანასკნელად დამტკიცებულ “საზოგადოების” მთლიანი აქტივების ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს);
- 8.13.6 კრედიტების და სესხების აღება იმ ოდენობით, რომლის ღირებულებაც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უკანასკნელად დამტკიცებულ “საზოგადოების” მთლიანი აქტივების ღირებულების 2%-ს (ორ პროცენტს);
- 8.13.7 კრედიტების და სესხების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს;
- 8.13.8 სამეურნეო საქმიანობის და წარმოების წამოწყება და შეჩერება;
- 8.13.9 სამეურნეო პოლიტიკის საერთო პრინციპების, ბიზნეს გეგმისა და “საზოგადოების” განვითარების სტრატეგიის დადგენა, წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- 8.13.10 “საზოგადოების” ხელმძღვანელობის ანაზღაურების და/ან დამატებითი სარგებლის განსაზღვრა, აგრეთვე მათთვის საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- 8.13.11 სავჭრო წარმომადგენლების (პროცესტების) დანიშვნა და გათავისუფლება;
- 8.13.12 “საზოგადოების” საბალანსო ღირებულების განსაზღვრა პერიოდულად;

პასუხისმგებლის განვითარების მისამართი

- 8.13.13 "საზოგადოების" საინვესტიციო კონსულტანტებთან ხელშეკრულებების გაფორმება ან ამგვარი ხელშეკრულების პირობების შეცვლა; აგრეთვე "საზოგადოების" აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორის შერჩევა და მასთან ხელშეკრულების გაფორმება;
- 8.13.14 იმ შეთანხმების ან ხელშეკრულების (ხელშეკრულებების) დამტკიცება, რომლის შესაბამისად "საზოგადოების" მიერ გაწეული ერთჯერადი ან რამოდენიმე ეტაპად გადებული ხარჯი ადემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უკანასკნელად დამტკიცებულ "საზოგადოების" მთლიანი აქტივების ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს);
- 8.13.15 საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
- 8.13.16 "საზოგადოების" მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (რაც, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გულისხმობს სახაზინო აქციებსაც);
- 8.13.17 ნებისმიერი ახალი ოფისების გახსნა ან უძრავი ქონების მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებების შეძენა ან გასხვისება;
- 8.13.18 აქციების დაშვება სავაჭროდ ბირჟაზე;
- 8.13.19 სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა განსაზღვრული იყოს შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 9

გენერალური დირექტორი

9.1. გენერალური დირექტორი:

- 9.1.1. "საზოგადოების" ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება გენერალური დირექტორის მიერ, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. გენერალურ დირექტორთან ფორმდება სასამასახურებო ხელშეკრულება.
- 9.1.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში "საზოგადოებას" წარმოადგენს გენერალური დირექტორი, რომელსაც აქვს სრული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება.

9.2. "საზოგადოების" გენერალურმა დირექტორმა უნდა:

- 9.2.1. წარმართოს და განახორციელოს "საზოგადოების" მიმდინარე საქმიანობა;
- 9.2.2. წინასწარ განიხილოს "საზოგადოების" აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი, მოაზრადოს სათანადო ინფორმაცია, წინადადებები და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები;
- 9.2.3. ფინანსური წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მომავალი წლის ბიზნეს გეგმა, რაც მოიცავს წლიურ ბიუჯეტსა და მოგება-ზარალის გაანგარიშებას, აგრეთვე "საზოგადოების" საინვესტიციო გეგმას.
- 9.2.4. უზრუნველყოს აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების შესრულება;
- 9.2.5. შეიმუშაოს "საზოგადოების" წესები, შინაგანაწესი და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება აქციონერთა და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ასევე უზრუნველყოს მათი შესრულება;

მუხლი გომის ული

- 9.2.6. მიიღოს გადაწყვეტილებები პერსონალის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების, და ანაზღაურების საკითხებზე (იმ პირობით, რომ გენერალური დირექტორი გაითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს ზოგიერთ უმაღლეს თანამდებობის პირთან მიმართებაში);
- 9.2.7. გადაწყვეტილოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც, დრო და დრო, შესაძლოა დაევალოს გენერალურ დირექტორს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;
- 9.2.8. დაიცვას წინამდებარე „წესდებით“ და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
- 9.3. გენერალურ დირექტორს უფლება აქვს:
- 9.3.1. კოორდინაცია გაუწიოს „საზოგადოების“ საქმიანობის მიმდინარე მართვას და წარმართოს ის;
- 9.3.2. იმოქმედოს „საზოგადოების“ სახელით მინდობილობის გარეშე, წარმოადგინოს „საზოგადოება“ ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში ყველა სახელმწიფო ორგანოს ან სხვა მესამე მხარეების წინაშე და გასცეს მინდობილობები;
- 9.3.3. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ შესაძლო ნებართვისა და თანხმობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გააფორმოს კონტრაქტები;
- 9.3.4. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, „საზოგადოების“ მუშაკებთან მიმართებაში, გამოიყენოს პრემიებით წახალისება და დააკისროს ჯარიმები თანახმად შინაგანწესისა და დებულებებისა;
- 9.3.5. დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები;
- 9.3.6. მოამზადოს ყველა აუცილებელი მასალა/მოხსენება და წარუდგინოს ის აქციონერთა კრებას და სამეთვალყურეო საბჭოს;
- 9.3.7. აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, აუცილებელი „საზოგადოების“ მიზნებისათვის, გარდა აქციონერთა კრებაზე და სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული ფუნქციებისა.

მუხლი 10

გარიგებები დაკავშირებულ პირებთან

- 10.1. წინამდებარე მე-10 მუხლის მიზნებისთვის „დაკავშირებული პირი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც წარმოადგენს (ა) „საზოგადოების“ გამოშვებული აქციების ხუთი პროცენტის ან მეტის მფლობელს და/ან სხვაგვარად აკონტროლებს ამგვარ აქციებს, (ბ) „საზოგადოების“ სამეთვალყურეო საბჭოს, გენერალურ დირექტორს ან „საზოგადოების“ სხვა ხელმძღვანელ თანამშრომელს, (გ) კომპანიას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან კონტროლდება, „საზოგადოების“ მიერ, ან რომელიც კონტროლდება პირის მიერ, რომელიც აკონტროლებს „საზოგადოებას“, და (დ) ნებისმიერ პირს (იურიდიულ ან ფიზიკურ პირს), რომელიც მიიჩნევა „დაკავშირებულ პირად“ შესაბამისი კანონმდებლობით და/ან „საზოგადოების“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- 10.2. „დაკავშირებულ პირებთან“ დასადები ნებისმიერი გარიგება ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარ დამტკიცებას, თუკი ამგვარი გარიგების ღირებულება არ აღემატება „საზოგადოების“ აქტივების ღირებულების 50%-ს (ორმოცდაათ პროცენტს). წესდების 8.7 მუხლის გათვალისწინებით, ამგვარ გარიგებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე ან წარმოდგენილი წევრების მიერ ერთხმად. იმ შემთხვევაში თუ ამგვარი გარიგების ღირებულება აღემატება „საზოგადოების“

მუხლი 10

აქტივების ღირებულების 50% (ორმოცდაათ პროცენტს), გარიგება უნდა დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრებაზე.

10.3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მოახდინოს დაკავშირებულ პირებთან დასადები გარიგებ(ებ)ის დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება გენერალურ დირექტორზე და/ან სხვა შესაბამის მმართველობით ორგანოებზე. ამასთან, (ა) ცალკეულ დაკავშირებულ პირთან დასადები გარიგებ(ებ)ის კუმულატიური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უკანასკნელად დამტკიცებულ „საზოგადოების“ მთლიანი აქტივების ღირებულების 1%-ს (ერთ პროცენტს), და (ბ) გენერალურმა დირექტორმა და/ან შესაბამისი მმართველობითი ორგანოების წევრებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ იმ გარიგებასთან დაკავშირებულ განხილვებში, რომელთან მიმართებაშიც მას (მათ) გააჩნიათ ინტერესთა შეუთავსებლობა.

მუხლი 11

კონფიდენციალურობა

11.1. აქციონერები ერთმანეთის და „საზოგადოების“ წინაშე იღებენ ვალდებულებას, რომ არასდროს გამოიყენებენ, გამოაქვეყნებენ, გაავრცელებენ ან განუცხადებენ რომელიმე პირს, გარდა „საზოგადოების“ იმ თანამდებობის პირებისა ან მუშაკებისა, ვის კომპეტენციაშიც შედის ან გენერალური დირექტორის მითითების თანახმად, ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციას „საზოგადოების“ საქმიანობის, ხარჯების, ფინანსური ან საკონტრაქტო გარიგებების ან სხვა შეთანხმებების, ტრანზაქციების ან საქმიანი ურთიერთობების შესახებ, რომელიც შესაძლოა მათთვის ცნობილი გახდეს. მათ უნდა მიმართონ ყველა ზომას, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნება ან გაცხადება აღნიშნულ საკითხებზე, გარდა იმ ინფორმაციისა, რაც გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი რომელიმე აქციონერის მიერ მისი ვალდებულებების დაურღვევლად.

მუხლი 12

„საზოგადოების“ საქმიანობის შეწყვეტა

12.1. „საზოგადოების“ საქმიანობის შეწყვეტა ხდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2. „საზოგადოების“ საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, გამოყოფის, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით. „საზოგადოების“ რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და მოვალეობა გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

მუხლი 13

ფილიალები

13.1. „საზოგადოებას“ შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნა უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14

დასკვნითი დებულებები

მხედარი გომისაცვლა

- 14.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი შესაბამის მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციის დღიდან.
- 14.2. თუ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს გავლენას არ მოახდენს სხვა დებულებათა ნამდვილობაზე. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო იოლად მიიღწევა “საზოგადოების” მიზანი.
- 14.3. წინამდებარე წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს მიენიჭებათ უპირატესობა წინამდებარე წესდების დებულებებთან მიმართებაში.
- 14.4. “საზოგადოების” აქციონერებსა და მის ორგანოებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავის შემთხვევაში, რაც უკავშირდება წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ან წინამდებარე წესდების დებულებების განმარტებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია მიმართოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს.
- 14.5. წინამდებარე წესდება შედგენილია ორ თანაბარუფლებიან ეგზემპლარად.

აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე:

პახუმიან გომი

მიხეილ გომართელი

საწოუბარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221624870



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი
სანოტარო მოქმედების დასახელება
წოტარიუსი
სანოტარო ბიუროს მისამართი
სანოტარო ბიუროს ტელეფონი
სანოტარო მოქმედების ინდიკირუალური წომე

28.11.2022 წ
ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ირმა შარვაძე
თბილისი, ქ. შარტავას 42
591709917
74381748648222

მე, წოტარის ირმა შარვაძე სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ქ. შარტავას 42/ ვამოწმებ მიხეილ გომართელის (დაჩ. 31.07.1975წ. ც/ნ 01007008711; მისამართი: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 24გ ბ. 226) გომართელის (დაჩ. 31.07.1975წ. ც/ნ 01007008711; მისამართი: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 24გ ბ. 226) სელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემით თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ. ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ. სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის #29ა-ში, სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებალად.

ნოუზარისი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების
შესახებ) მიღება - გადამოწმება, შეკიდლებათ საქართველოს წოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარღვეთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



აუდიტორი


თანხმობა

მე, **ნუციკო გოგილაშვილი** (დაბადების თარიღი: 04.08.1989, პ/ნ: 01024051081, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ნატახტარის ქუჩა, N 12), ვაცხადებ ჩემს თანხმობას მასზედ, რომ დავინიშნო სს „ექსპრეს ტექნოლოგიზ“ -ის (ს/კ: 204542003, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქ., №106, სართული 1, ფართი №11) სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, რასაც ვადასტურებ პირადი ხელმოწერით.

ნუციკო გოგილაშვილი ნუციკო გოგილაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221608001



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

24.11.2022 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე


სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ქ. შარტავას 42

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

591709917

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 34198500075622



მე, ნოტარიუს ირმა შარვაძის შემცველელი პირი მარიამ გინტური სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ქ. შარტავას 42/ ვამოწმებ წუციკო გოგილაშვილის (დაბ. 04.08.1989წ. 3/6 01024051081; მისამართი: ქალაქი თბილისი, ნატანტარის ქუჩა, N 12) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით.
დოკუმენტზე ხელმოწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.

სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის #29ა-ში, სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებალად.

გადახდილია საზღვრი: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღვრისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა დოკუმენტის 1 ეგემპლარზე 1 გვერდიან დოკუმენტზე 1 ხელმოწერის დამოწმებისთვის 6.00 ლარი + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35.00 ლარი, დღგ 7.38 ლარი; რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი;

ნოტარიუსი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო ტექნიკური შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკორდ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თანხმობა

მე, **დავით დავითაშვილი** (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 07.08.1982, პირადი ნომერი: 01001017835, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 5, ბინა 13), ვაცხადებ ჩემს თანხმობას მასზედ, რომ დავინიშნო **სს „ექსპრეს ტექნოლოგიზმი“**-ის (ს/კ: 204542003, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქ., №106, სართული 1, ფართი №11) სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, რასაც ვადასტურებ პირადი ხელმოწერით.

დავით დავითაშვილი წარადგით

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221496362



01.11.2022 წ

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ირმა შარვაძე

თბილისი, ქ. შარტავას 42

591709917

სანოტარო მოქმედების დასახელება
ნოტარიუსი
სანოტარო ბიუროს მისამართი
სანოტარო ბიუროს ტელეფონი
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

28162911431922



მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ქ. შარტავას 42/ ვამოწმებ დავით დავითაშვილის (დაბადების თარიღი 07.08.1982წ. პ/ნ: 01001017835; მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 5, ბინა 13) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმოწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს

სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის 29ა-ში, სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად.

გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების (შესახებ)“ 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.
2 ეგზემპლარზე, 1 გვერდიან დოკუმენტზე შესრულებული 2 ხელმოწერისთვის 12.00 ლარი + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35.00 ლარი, + დღგ 9,18 ლარი; რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი;

ნოტარიუსი



სანოტარო მოქმედება და სანოტარიუსის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მოლება უსაფრთხოება შეაღინიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგრძლიათ დარგვაჭრაზე უფლება: +995(32) 2 66 19 18



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221608213



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

24.11.2022 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის ასლის დამოწმება

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ქ. შარტავას 42

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

591709917

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

72198263662122



მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძის შემცველელი პირი მარიამ გინტური სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქ. შარტავას #42, ვამოწმებ, რომ ნოტარიუსთან წარმოდგენილი დოკუმენტის ასლი იდენტურია დედნისა. ამასთან, განვმარტავ, რომ ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგო (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს), ან გაყალბებულია (მატერიალურად, და/ან შინაარსობრივად). წარმოდგენილ დოკუმენტზე ამოშლილი, ამოფხევილი, მიწერილი, გადახაზული (გადაშლილი) სიტყვები, წინადადებები და სხვა დაუთქმელი გასწორებები არ აღინიშნება. ამასთანავე განვმარტავ რომ ფოტოსასლს არ აქვს დედნის ძალმოსილება და იგი ვერ ცვლის თვით დოკუმენტის დედანს.

სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის N 29a-ში, სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად.

გადახდილია საზღაური (დოკუმენტის 1 ეგზემპლარის 2 გვერდისა დოკუმენტზე 2 გვერდისა დამოწმებისათვის) 4.00 ლარი, სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის 35.00 ლარი, დღე 7.02 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგნილებისა (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგნილი საფასურის ოდენობის, მათ გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დატკიცების შესახებ“) 31-ე და 34-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

I, Mariam Ginturi, Substitute of Notary Irma Sharvadze notary bureau located at the address: 42 Shartava Str. Tbilisi, do hereby certify that the copy of the document presented before me is genuine with its original. However, for clarification purposes I state that certification of the copy of a document does not mean certification of the legitimacy and validity of the original document and therefore, the Notary bears no responsibility whatsoever should the original document be illegal (or contain illegal provisions) or fabricated (in form or/and in substance). In the presented document, there are no deleted, erased, written, strikethrough (deleted) words, sentences and other unconditioned corrections.

In addition, I also explain that the copy has not the power of the original one and it cannot replace the original document. The Notary Deed was executed at 29a Gagarin Street.


Fee collected: 4.00 Lari (copies 1 , 2 pg.) (under the Articles 31 and 34 of the Resolution of the Government of Georgia (29.12.2011, N507 on Approval of Notary Charges, Georgian Notary Chamber Charge, Payment Terms and Service Terms) as well as 35.00 Lari for the notarial action executed out of notarial bureau and VAT 7.02 Lari under the Article 166 of the Tax Code of Georgia.

ნოტარიუსი

Notary:



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება მეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკორდიროვოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18





24.11.2022 წ

დოკუმენტის ასლის დამოწმება

ირმა შარვაძე

თბილისი, უ. შარტავას 42

591709917

22529660476422



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი
სანოტარო მოქმედების დასახელება
ნოტარიუსი
სანოტარო ბიუროს მისამართი
სანოტარო ბიუროს ტელეფონი
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური წლის ნომერი

მე, ნოტარიუს ირმა შარვაძის შემცვლელი პირი მარიამ გინტური სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქ. შარტავას #42, ვამოწმებ, რომ ნოტარიუსთან წარმოდგენილი დოკუმენტის ასლი იდენტურია დედნისა. ამასთან, განვმარტავ, რომ ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ წიშნავს დოკუმენტის დედნის კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს), ან გაყალბებულია (მატერიალურად, და/ან შინაარსობრივად). წარმოდგენილ დოკუმენტზე ამოშლილი, ამოფხვევილი, მიწერილი, გადახაზული (გადამშლილი) სიტყვები, წინადადებები და სხვა დაუთქმელი გასწორებები არ ალინიშნება. ამასთანავე განვმარტავ რომ ფოტოსასლს არ აქვს დედნის სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის N 29a-ში, სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად.

გადახდილია საზღაური (დოკუმენტის 1 ეგზემპლარის 2 გვერდიან დოკუმენტზე 2 გვერდის დამოწმებისათვის) 4.00 ლარი, სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35.00 ლარი, დღგ 7.02 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე და 34-ე მუხლისა და საყადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

I, Mariam Ginturi, Substitute of Notary Irma Sharvadze notary bureau located at the address: 42 Shartava Str. Tbilisi, do hereby certify that the copy of the document presented before me is genuine with its original. However, for clarification purposes I state that certification of the copy of a document does not mean certification of the legitimacy and validity of the original document and therefore, the Notary bears no responsibility whatsoever should the original document be illegal (or contain illegal provisions) or fabricated (in form or/and in substance). In the presented document, there are no deleted, erased, written, strikethrough (deleted) words, sentences and other unconditioned corrections.

In addition, I also explain that the copy has not the power of the original one and it cannot replace the original document.

The Notary Deed was executed at 29a Gagarin Street.

Fee collected: 4.00 Lari (copies 1 , 2 pg.) (under the Articles 31 and 34 of the Resolution of the Government of Georgia (29.12.2011, N507 on Approval of Notary Charges, Georgian Notary Chamber Charge, Payment Terms and Service Terms) as well as 35.00 Lari for the notarial action executed out of notarial bureau and VAT 7.02 Lari under the Article 166 of the Tax Code of Georgia.

ნოტარიუსი
Notary:



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება—გადამოწმება შეგიძლება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკორდ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18